საიდ. №74632/03

IR 1179759

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №17-03/15

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრ „საქპა-ტენტთან“ არსებული სააპელაციო პალატის კოლეგიამ შემდეგი შემადგენლობით: მ. ფრუიძე (თავმჯდომარე), ი. გიქორაშვილი, ა. დალაქიშვილი, თ. ჯაფარიძის მდივნობით განიხილა კომპანიის „ფარმაკ ინტერნაციონალ ჰოლდინგ გმბჰ” (Farmak International Holding GmbH) სააპელაციო საჩივარი (საიდ. №17-03/15), რომლითაც მოითხოვება სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის” სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 10 დეკემბრის „საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ“ №1602/03 ბრძანების ბათილად ცნობა და საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის „Би-СепТ-Фармак” (საიდ. №74632/03 IR 1179759) დაცვის მინიჭება საქართველოში საქონლის სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ (მე-5 კლასი).

საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 10 დეკემბრის №1602/03 ბრძანებაზე თანდართული ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი სასაქონლო ნიშანი "Би-сепТ-Фармак" მსგავსია მადრიდის შეთანხმების ოქმით კომპანიის Joint stock company “FARMAK” (მის: 63, vul. Frunze, Kyiv 04080, UA (UA/UA) სახელზე დაცული სასაქონლო ნიშნისა - „Фармак“ (IR 883229, რეგისტრაციის თარიღი: 28.02.2006). ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი ნიშანი მთლიანად მოიცავს დაპირისპირებული ნიშნის სიტყვიერ ნაწილს. სასაქონლო ნიშნის წინსართი - "Би-сепТ“ არ ანიჭებს მას არსებით განსხვავებას. ორივე სასაქონლო ნიშანი შესრულებულია კირილიცათი. დაპირისპირებული ნიშნის გამოსახულება აღრევამდე მსგავსია სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი სასაქონლო ნიშნისა, რაც ქმნის მომხმარებლის შეცდომაში შეყვანის შესაძლებლობას მე-5 კლასის საქონლის მსგავსი ჩამონათვლისათვის. აღნიშნულის გამო, „სასაქონლო ნიშნების შესახებ” საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ” ქვეპუნქტის საფუძველზე, განცხადებულ საერთაშორისო სასაქონლო ნიშანს უარი ეთქვა დაცვის მინიჭებაზე საქართველოში.

კოლეგიამ განიხილა სააპელაციო საჩივარი, ექსპერტიზის მასალები, წარმოდგენილი დოკუმენტები და მოისმინა რა მხარის ახსნა-განმარტებები

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

აპელანტი კომპანია „ფარმაკ ინტერნაციონალ ჰოლდინგ გმბჰ” არ ეთანხმება გასაჩივრებულ ბრძანებას შემდეგ გარემოებათა გამო:

აპელანტის განმარტებით, განცხადებულ სასაქონლო ნიშანს, განსხვავებით დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნისაგან, წინ დამატებული აქვს ტირეთი გამოყოფილი აღნიშვნა "Би-сепТ“, რომელიც მას საკმარის განმასხვავებლობას ანიჭებს იმისათვის, რომ არ მოხდეს ამ სასაქონლო ნიშნებით მონიშნული მე-5

კლასის საქონლის მწარმოებელთა ერთმანეთში აღრევა მომხმარებლის მიერ. აპელანტის პოზიციით, დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი დაცულია საქართველოში მე-5 კლასის საქონლის ზოგადი ჩამონათვლისათვის: „ფარმაცევტული პრეპარატები“ (Pharmaceutical preparations), ხოლო განცხადებული სასაქონლო ნიშნის დაცვა მოითხოვება მე-5 კლასის საქონლის კონკრეტული ჩამონათვალის მიმართ: „სამედიცინო საშუალებები ადამიანებისათვის; სამედიცინო დანიშნულების ფარმაცევტული, ვეტერინალური და სადიაგნოსტიკო პრეპარატები; სამედიცინო დანიშნულების გადასხმები; შესაზელი მალამოები სამედიცინო მიზნებისათვის“ (Medicines for human purposes; pharmaceutical, veterinary, diagnostic preparations for medical purposes; medicinal infusions; ointments for pharmaceutical purposes). აპელანტის მითითებით, სააპელაციო საჩივარს თან ერთვის ასევე, დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნის მფლობელი კომპანიის ჯოინტ სტოკ კომპანი „ფარმაკ“ (Joint stock company “FARMAK”) თანხმობის წერილის დედანი, რომელშიც აღნიშნულია, რომ კომპანია „ფარმაკ ინტერნაციონალ ჰოლდინგ გმბჰ“ (Farmak International Holding GmbH) არის კომპანიის ჯოინტ სტოკ კომპანი „ფარმაკ“ (Joint stock company “FARMAK”) აქციების მფლობელი. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აპელანტი ითხოვს საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 10 დეკემბრის „საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ“ №1602/03 ბრძანების ბათილად ცნობას და საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის „Би-СепТ-Фармак” (საიდ. №74632/03 IR 1179759) დაცვის მინიჭებას საქართველოში საქონლის სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ.

კოლეგიამ განიხილა მხარის არგუმენტაცია, საქმეში არსებული მასალები და მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

„სასაქონლო ნიშნების შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის თანახმად, სასაქონლო ნიშანი არ რეგისტრირდება, თუ „მესამე პირის სახელზე რეგისტრირებული, უფრო ადრინდელი პრიორიტეტის მქონე სასაქონლო ნიშნის მსგავსია, ხოლო საქონელი – იდენტური ან იმდენად მსგავსი, რომ ჩნდება ამ სასაქონლო ნიშნების აღრევის, მათ შორის, ასოცირების შედეგად აღრევის შესაძლებლობა".

სააპელაციო საჩივარზე თანდართული, დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნის მფლობელი კომპანიის ჯოინტ სტოკ კომპანი „ფარმაკ" (Joint stock company "FARMAK") მიერ გაცემული თანხმობის წერილის თანახმად, დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნის მფლობელი კომპანია არ არის წინააღმდეგი განცხადებული სასაქონლო ნიშნის დაცვასა და გამოყენებაზე საქართველოში აპელანტი კომპანიის სახელზე. ამავე თანხმობის წერილში ასევე, აღნიშნულია, რომ აპელანტი კომპანია „ფარმაკ ინტერნაციონალ ჰოლდინგ გმბჰ" (Farmak International Holding GmbH) არის დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნის მფლობელი კომპანიის აქციების მფლობელი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატის კოლეგიას მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს „სასაქონლო ნიშნების შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული, საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის „Би-СепТ-Фармак" (საიდ. №74632/03 IR 1179759) დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის საფუძველი.

სააპელაციო პალატის კოლეგიამ იხელმძღვანელა „სასაქონლო ნიშნების შესახებ" საქართველოს კანონის მე-16 მუხლით, სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2011 წლის 18 მარტის №02 ბრძანებით დამტკიცებული საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატის დებულების მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. კომპანიის „ფარმაკ ინტერნაციონალ ჰოლდინგ გმბჰ" (Farmak International Holding GmbH) სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.

2. ბათილად იქნეს ცნობილი სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - „საქპატენტის" სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 10 დეკემბრის „საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ" №1602/03 ბრძანება.

3. საერთაშორისო სასაქონლო ნიშანს „Би-СепТ-Фармак" (საიდ. №74632/03 IR 1179759) მიენიჭოს დაცვა საქართველოში საქონლის სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ.

4. წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. მცხეთა, სამხედროს ქ. №17) გადაწყვეტილების გაცნობის/ჩაბარების დღიდან ერთი თვის ვადაში.

კოლეგიის თავმჯდომარე: მ. ფრუიძე

წევრები: ი. გიქორაშვილი

ა. დალაქიშვილი